# საააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

**ფინანსური ანგარიშგება**
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

# სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

## სარჩევი


| | გვერდი |
|---|---|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე | 1 |
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა | 2-3 |
| ფინანსური ანგარიშგება 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის: | |
| სრული მოგება-ზარალის ანგარიში | 4 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიში | 5 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიში | 6 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში | 7-8 |
| ფინანსურ ანგარიშგებათან არსებული შენიშვნები | 9-49 |

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-2 და მე-3 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი'') ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებით მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ბანკი გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის არსებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2010 წლის 26 თებერვალს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

| | |
|---|---|
| _________________________________ | _________________________________ |
| გენერალური დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| ნიკოლოზ გეგუჩაძე | გულნარა მარშანიშვილი |
| *26 თებერვალი 2010* | *26 თებერვალი 2010* |

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

### დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული მოგება-ზარალის ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშებს 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

**დასკვნა**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, სს ხალიკ ბანკი საქართველოს ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას დაარსებიდან ზემოთ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

*26 თებერვალი 2010*
*თბილისი, საქართველო*

## სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

### სრული მოგება-ზარალის ანგარიში
### 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ქართულ ლარში)*

| | შენიშვნა | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 4 | 1,484 | 2,281 |
| საპროცენტო ხარჯი | 4, 21 | (85) | (2) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 1,399 | 2,279 |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან | 5 | 5 | 23 |
| საკომისიო შემოსავალი | 6 | 16 | 3 |
| საკომისიო ხარჯი | 6 | (21) | (3) |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვი სხვა ოპერაციებზე | 16 | (1,415) | - |
| სხვა შემოსავალი | | - | 10 |
| წმინდა არასაპროცენტო (ხარჯი)/შემოსავალი | | (1,415) | 33 |
| საოპერაციო შემოსავალი | | (16) | 2,312 |
| საოპერაციო ხარჯი | 7, 21 | (4,125) | (3,044) |
| ზარალი მოგების გადასახადის | | (4,141) | (732) |
| მოგების გადასახადის სარგებელი | 8 | 374 | 101 |
| წმინდა ზარალი | | (3,767) | (631) |

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____________________________________ _____________________________________

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუჩაძე
*26 თებერვალი 2010*
*თბილისი*

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი
*26 თებერვალი 2010*
*თბილისი*

9-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
## 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ქართულ ლარში)*

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2009 | 31 დეკემბერი 2008 |
|---|---|---|---|
| **აქტივები:** | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 9 | 2,879 | 933 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 10, 21 | 538 | 4,818 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 11 | 312 | - |
| გასაყიდად არებული ინვესტიციები | 12 | 54 | 54 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 13 | 15,695 | 16,811 |
| ძირითადი საშუალებები | 14 | 4,372 | 4,461 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | | - | 196 |
| გადავადებული მოგების გადასახადი | 8 | 475 | 101 |
| არამატერიალური აქტივები | 15 | 1,731 | 995 |
| სხვა აქტივები | 16 | 1,948 | 3,558 |
| სულ აქტივები | | 28,004 | 31,927 |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | | |
| ვალდებულებები: | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | 17, 21 | 1,163 | 1,300 |
| სხვა ვალდებულებები | 18 | 239 | 258 |
| სულ ვალდებულებები | | 1,402 | 1,558 |
| კაპიტალი: | | | |
| სააქციო კაპიტალი | 19 | 31,000 | 31,000 |
| დაგროვილი ზარალი | | (4,398) | (631) |
| სულ კაპიტალი | | 26,602 | 30,369 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 28,004 | 31,927 |

დირექტორთა საბჭოს სახელით:

__________________________________
გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუჩაძე
*26 თებერვალი 2010*
*თბილისი*

__________________________________
მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი
*26 თებერვალი 2010*
*თბილისი*

9-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

## აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების უწყისი
## 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ქართულ ლარში)*

| | შენიშვნა | სააქციო კაპიტალი | დაგროვილი ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **29 იანვარი 2008** | | - | - | - |
| ზრდა სააქციო კაპიტალში: | | | | |
| - *ჩვეულებრივი აქციები* | 19 | 31,000 | - | 31,000 |
| წმინდა ზარალი | | - | (631) | (631) |
| **31 დეკემბერი 2008** | | **31,000** | **(631)** | **30,369** |
| წმინდა ზარალი | | - | (3,767) | (3,767) |
| **31 დეკემბერი 2009** | | **-** | **(4,398)** | **26,602** |

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_________________________________________

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუჩაძე
*26 თებერვალი 2010*
*თბილისი*

_________________________________________

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი
*26 თებერვალი 2010*
*თბილისი*

9-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
## 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ქართულ ლარში)*

| | შენიშვნა | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:** | | | |
| ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე: | | (4,141) | (732) |
| კორექტირება: | | | |
| - გაუფასურების დანაკარგების რეზერვი სხვა ოპერაციებზე | | 1,415 | - |
| - ცვეთა და ამორტიზაცია | | 553 | 105 |
| - ცვლილება წმინდა საპროცენტო | | 46 | (28) |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე | | (2,127) | (655) |
| ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში | | | |
| (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში: | | | |
| მინიმალური სავალდებულო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში | | (43) | (6) |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | | 4,326 | (4,616) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | (309) | - |
| სხვა აქტივები | | 4 | (30) |
| ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | | (156) | 1,298 |
| სხვა ვალდებულებები | | (19) | 258 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე | | 1,676 | (3,751) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | 196 | (196) |
| წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან | | 1,872 | (3,947) |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | | |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა | | (97) | (7,980) |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა | | (911) | (1,109) |
| შემოსავლები/(შესყიდვა) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან | | 1,115 | (16,811) |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციების შესყიდვა | | - | (54) |
| წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან | | 107 | (25,954) |

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში (გაგრძელება)
## 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ქართულ ლარში)*

| | შენიშვნა | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:** | | | |
| ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის გამოშვება | | - | 31,000 |
| წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან | | - | 31,000 |
| წმინდა ზრდა ფულსა და ფულის | | 1,979 | 1,099 |
| ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისი | 9 | 1,099 | - |
| ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის | 9 | 3,078 | 1,099 |

ბანკის მიერ 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დაარსებიდან 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შესაბამისად შეადგინა 1,492 ათასი და 2,251 ათასი ლარი.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

| | |
|---|---|
| _________________________________ | _________________________________ |
| გენერალური დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| ნიკოლოზ გეგუჩაძე | გულნარა მარშანიშვილი |
| *26 თებერვალი 2010* | *26 თებერვალი 2010* |
| *თბილისი* | *თბილისი* |

9-49 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ორგანიზაცია

სს ხალიკ ბანკი საქართველო („ბანკი“) არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია 2008 წლის 29 იანვარს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის №0110246 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და დეპოზიტებით სარგებლობა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №74.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს 1 ფილიალი გააჩნია საქართველოში.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერებს წარმოადგენდნენ:

| | 31 დეკემბერი 2009 | 31 დეკემბერი 2008 |
|---|---|---|
| **აქციონერები** | | |
| **პირველი დონის აქციონერი:** | | |
| სს ყაზახეთის ხალიკ ბანკი | 100% | 100% |
| **სულ** | **100%** | **100%** |

სს ყაზახეთის ხალიკ ბანკი საბოლოოდ ექვემდებარება ტიმურ ყულიბაიევისა და დინარა ყულიბაიევას კონტროლს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2010 წლის 26 თებერვალს.

## 2. წარდგენის საფუძველი

***ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი***

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას. ბანკი დაარსდა 2008 წლის იანვარში და იმყოფება კლიენტების მომსახურებისათვის საჭირო ოპრაციების შემუშავების პროცესში. ბანკმა ფინანსური რესურსების ინვესტირება აქციების სახით განახორციელა ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში, რომელთა საპროცენტო განაკვეთი საგრძნობლად შემცირდა 2009 წლისათვის. ხელმძღვანელობასა და აქციონერებს გადაწყვეტილი აქვთ 2010 წლიდან აქტიურად ჩაერთონ სასესხო ოპერაციებში, განათავსონ რესურსები უფრო მომგებიან სეგმენტში და განავითარონ ბანკის ბიზნესი საქართველოში როგორც კორპორაციულ, ასევე საცალო სეგმენტში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი მართებულია ბანკისათვის კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტიდან გამომდინარე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

**ანგარიშგების ვალუტა**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ანგარიშგების ვალუტაა ქართული ლარი.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

**ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ბალანსზე ხორციელდება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვების და რეალიზაციის ასახვა ხდება ანგარიშსწორების განხორციელების დღეს. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში სამართლიანი ღირებულებით აისახება გარიგების დადების მომენტიდან ანგარიშსწორების დღემდე, აღირიცხება ისევე, როგორც შესყიდული ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივისა და ვალდებულების შესყიდვასა და გამოშვებას, გარდა იმ ფინანსური აქტივისა და ვალდებულებისა, რომელიც სრული მოგები ანგარიშში აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების შემდგომი შეფასების პოლიტიკა განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ შესაბამის ბუღალტრულ პოლიტიკაში.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში და იმ ქვეყნების ბანკებში განთავსებულ სახსრებს 90 დღემდე დაფარვის ვადით, რომლებიც შედიან ეკონომიური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეგთო).

საქართველოს ეროვნულ ბანკში მინიმალური რეზერვის გამოყენება ექვემდებარება შეზღუდვას და არ განეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

### მოთხოვნები ბანკების მიმართ

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს სხვა ბანკებში სხვადასხვა ვადით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება ყველანაირი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

### კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არადერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ბანკის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შესყიდვასა და შექმნასთან. სადაც სამართლიანი ღირებულებით ასახული ანაზღაურება არ უდრის სესხის სამართლიან ღირებულებას, მაგალითად როდესაც სესხის გაცემა ხდება საბაზროზე ნაკლები განაკვეთით, მათ შორის სხვაობა აისახება როგორც დანაკარგი სესხის თავდაპირველი აღიარებისას და სრული მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება დანაკარგების ტიპის მიხედვით. შედეგად, სესხის ნარჩენი ღირებულება აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მოსალოდნელ დაფარვის ვადაზე დაყრდნობით. კლიენტებზე გაცემული სესხები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

### ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვთან მიმართებაში. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილება გადააჭარბებს ერთ წელს.

**გაუფასურების დანაკარგების რეზერვი**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, ბანკი ადგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ნარჩენ ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან მიღებული თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

ნარჩენი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც ხელმძღვანელობის განსჯით ფარავს შესაბამის დანაკარგს. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე რეზერვის ხარჯის ანგარიშის საშუალებით (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისათვის), ან პირდაპირი ჩამოწერით (ნარჩენი ღირებულებით ასახული აქტივებისათვის). ბალანსში ასახულ აქტივებს აკლდება გაუფასურების თანხა. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ბანკი განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა მსესხებლის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკების მიმართ დამოკიდებულება, მსგავსი ფინანსური აქტივების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა, აგრეთვე უზრუნველყოფისა და გარანტიების საბაზრო ღირებულება. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზარალის შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორებს. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღრიცხული გაუფასურების რეზერვი საკმარისია რისკს დაქვემდებარებულ აქტივებზე განცდილი დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში ბანკმა განიცადოს დანაკარგები, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე აღრიცხული გაუფასურების რეზერვი.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა**

*ფინანსური აქტივები*
ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ბანკმა აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის" საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; .და
- ბანკმა ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივზე კონტროლის უფლება.

ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როდესაც იგი იქნება გადაცემული და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. აქტივი გადაცემულად ჩაითვლება, როცა ბანკი ან: (ა) გადასცემს აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებას მესამე მხარეს; ან (ბ) დაიტოვებს უფლებას, მაგრამ აიღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს აქტივიდან შემომავალი ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ბანკი აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ფინანსური აქტივიდან შემომავალი მოგებისა და ზარალის ძირითადი ნაწილის აღიარებაზე პასუხისმგებელი რჩება ბანკი, მაშინ აქტივი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა მესამე მხარეს, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ბანკი აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება ჩამოწერას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულია იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

*ფინანსური ვალდებულებები*
ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში.

**დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები**

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენენ სავალო ფასიან ქაღალდებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით. ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. დისკონტის ამორტიზაცია დაფარვის ვადის დადგომამდე პერიოდის განმავლობაში აისახება, როგორც პროცენტული შემოსავალი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**გასაყიდად არსებული ინვესტიციები**

გასაყიდად არსებული ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტიციებს კაპიტალში, რომლის შენარჩუნება განზრახულია განუსაზღვრელი ვადით. ასეთი ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ფასიანი ქაღალდების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და გადაფასების შედეგი, გარდა გაუფასურების რეზერვისა, უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მოგება/ზარალისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა რომლებიც აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში. გაყიდვის შედეგად კაპიტალში ნაღიარები გადაფასების შედეგი აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში. გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისათვის, ბანკი სამართლიან ღირებულებას შეფასების მეთოდების საშუალებით ასახავს. შეფასების მეთოდები მოიცავს საბაზრო გარიგებების მონაცემების გამოყენებას ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, კარგად გათვითცნობიერებული და ამგვარ გარიგებაში მონაწილეობის სურვილის მქონე მხარეების შესახებ, ასევე ანალიტიკური ხასიათის სხვა ფინანსური ინსტუმენტის მიმდინარე ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოყენებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების ანალიზს და ვარიაციული მოდელის გამოყენებას. თუ არსებობს შეფასების მეთოდი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ბაზარზე ინსტრუმენტების შესაფასებლად და თუ იყო ნაჩვენები, რომ ეს ტექნიკა უზრუნველყოფს სარწმუნო შეფასებას, რომელიც საბაზრო გარიგებებისათვის გამოიყენება, ბანკი ამ მეთოდს იყენებს.

იმ შემთხვევაში, თუ არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების დადგენა შეუძლებელია მართებულად, ისინი აღიარებას ექვემდებარებიან ამორტიზირებული ღირებულებით და შესყიდვის ღირებულებით გაუფასურების გარეშე.

როდესაც აშკარაა, რომ ასეთი ფასიანი ქაღალდები გაუფასურდა, ხდება წინა პერიოდში კაპიტალში აღიარებული აკუმულირებული ზარალის ამოღება და მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში ასახვა. ეს ფინანსური აქტივები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

| | |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება | 1% |
| ავეჯი და აღჭურვილობა | 15% |
| საოფისე და საკომუნიკაციო აღჭურვილობა | 20% |
| სატრანსპორტო საშუალებები | 20% |
| სხვა | 15% |
| არამატერიალური აქტივები | 15% - 20% |

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღემატება თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აღემატება სამართლიან ღირებულებას გაყიდვის ხარჯების და არსებული ღირებულების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

**გადასახადები**

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია სრული მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გასაქვითი გადასახადი, რომელიც მოსალოდნელია წარმოიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობაზე და შესაბამის დასაბეგრ ბაზაზე, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის და აისახება საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი განსხვავებებისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმ ფარგლებში, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. ასეთი აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება აღიარებას, თუ დროებითი სხვაობა წარმოიშობა სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან ისეთ ტრანზაქციებში (საწარმოთა გაერთიანების გამოკლებით), რომლებიც არ ახდენენ გავლენას საგადასახადო და ბუღალტრულ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რაც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და გარე საბალანსო ვალდებულებების რეზერვში, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ბანკი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდები.

გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უტილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

გადავადებული მოგების აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და ბალანსში აისახება წმინდად, თუ:

- ბანკს აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე მოგების აქტივის გაქვითვა მოგების ვალდებულებებთან მიმართებაში; და
- გადავადებული მოგების აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება მოგების გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო უწყებამ დაუწესა ამავე საწარმოს.

საქართველოში ასევე არსებობს სხვადასხვა გადასახადი, რომელიც აფასებს ბანკის საქმიანობას. ეს გადასახადები სრული მოგება-ზარალის ანგარიშში საოპერაციო ხარჯების ნაწილადაა აღიარებული.

**მომხმარებელთა ანგარიშები**

მომხმარებელთა ანგარიშები თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მისაღები თანხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსავალსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ვალის საბოლოო გადახდამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**რეზერვები**

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

**ფინანსური გარანტიის კონტრაქტები**

ბანკის მიერ დადებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები, წარმოადგენენ საკრედიტო ოპერაციების უზრუნველყოფას, რომელიც ითვალისწინებს გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი სასესხო ინსტუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას. ამგვარი ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით ექვემდებარება. შემდგომში, ისინი ფასდებიან იმ თანხით, რომელიც უფრო მეტია: (ა) თანხა, რომელიც აღიარებულია რეზერვის სახით, ბას 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები"-ს შესაბამისად და (ბ) თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით, ფინანსური გარანტიებიდან, ან პრემიის სახით მომავალში მისაღები შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

**პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

**სააქციო კაპიტალი**

სააქციო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარე ხარჯები, ბიზნეს კომბინაციების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

**საპენსიო და სხვა ვალდებულებები**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საპენსიო ფონდისათვის გადასახდელი პროცენტი თანამშრომლებისათვის მიმდინარე საპენსიო გადახდებიდან კავდება, ვინაიდან ხორციელდება თანამშრომლის სახელფასო ხარჯის ნაწილის დაკავება და თანამშრომლის სახელით საპენსიო ფონდისათვის გადახდა. ამგვარი ხარჯების აღიარება ხდება იმ პერიოდისათვის, რომელშიც ხდება ხელფასების გაცემა. პენსიაზე გასული თანამშრომლებისათვის პენსიის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო საპენსიო ფონდი. ბანკს არ გააჩნია რაიმე სხვა საპენსიო პროექტი გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდისა. გარდა ამისა, ბანკს არ გააჩნია პენსიაზე გასვლის შემდგომი ვალდებულება ან სხვა მნიშვნელოვანი კომპენსაცია, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

**შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

*საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*
საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

*საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*
საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხორცილედება მომსახურების გაწევისას.

**უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შედგენის თარიღისათვის არსებული სპოტ კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება წმინდა მოგებაში უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებზე.

**ვალუტის გაცვლითი კურსი**

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა წლის ბოლოსათვის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

| | 31 დეკემბერი 2009 | 31 დეკემბერი 2008 |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 1.6858 | 1.6670 |
| ლარი/1 ევრო | 2.4195 | 2.3648 |

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ბანკი ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

**ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოობის წყარო**

ბანკის ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე პერიოდის ბოლოსათვის. ხელმძღვანელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით აფასებს დაშვებებსა და დასკვნებს. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომელიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისაგან სხვადასხვა პირობებში. ბანკის ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენისათვის მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი შეფასებები და დაშვებები:

*სესხების გაუფასურების რეზერვი*
ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღირების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან ანარიცხების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკი ხელმძღვანელობა პროფესიულ განსჯას ეყრდნობა ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც უთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის საწინააღმდეგო ცვლილებაზე და აგრეთვე ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა გაუფასურების დასადგენად ეყრდნობა ჯგუფში არსებული სესხების მსგავსი საკრედიტო რისკისა და გაუფასურების ობიექტური საფუძვლის მქონე სესხებზე განცდილ ისტორიულ  დანაკარგებს. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისათვის ამ ეტაპზე რთული გაითვალისწინოს რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

*ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება*
გასაყიდად არსებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს დადგენილ თანხას, რომლითაც იგი გაიცვლება მოსურვე მხარეებს შორის გარდა იძულებითი, ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. თუ კოტირებული საბაზრო ღირებულება ხელმისაწვდომია ინსტრუმენტისათვის, სამართლიანი ღირებულება იანგარიშება საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ ჩანს ბაზრიდან, ან მისი აღება შეუძლებელია საბაზრო ფასებიდან, სამართლიანი ღირებულება დგინდება სხვა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მართებულია თითოეული პროდუქტისა და ფასის დადგენის მოდელისათვის, რომელიც იყენებს ფინანსურ თეორიებზე დაფუძნებულ მათემატიკურ მეთოდოლოგიას. ფასის დადგენის მოდელები ითვალისწინებენ ფასიანი ქაღალდების კონტრაქტის პირობებს და შეფასების საბაზრო პარამეტრებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, ცვალებადობა, გაცვლითი კურსები და კონტრაგენტის საკრედიტო განაკვეთი. იქ სადაც ბაზარზე დაფუძნებული პარამეტრები არ არსებობს ხელმძღვანელობა დაადგენს ამ პარამეტრის შეფასების საუკეთესო შედეგს იმის გათვალისწინებით, თუ ინსტრუმენტის რა ფასი დადგინდებოდა ბაზარზე. ამ მიდგომის განხორციელებისას გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს:  სარწმუნო განსახილველ მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოლაციის მეთოდებს. თავდაპირველი აღირებისას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საუკეთესო დასაბუთება არის ტრანზაქციის ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შედარების საფუძველზე. ნებისმიერი სხვაობა ტრანზაქციის ფასსა და ღირებულებას შორის, რომელიც შეფასების ტექნიკას ეფუძნება არ აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში თავდაპირველი აღიარებისას. შემდგომი მოგება და ზარალი აისახება თუ იგი წარმოიშობა ფაქტორში ცვლილებების შედეგად, რომლებსაც ბაზარზე ითვალისწინებენ ფასის დადგენისას.

ბანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებასთან დაკავშირებული ბუღალტრული დაშვებები, იმ შემთხვევაში როდესაც საბაზრო ფასები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს შეფასების არასარწმუნოობის მთავარ წყაროს, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ იგი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებს საპროცენტო განაკვეთთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო შეფასებასთან, შეფასების კორექტირებასა და ტრანზაქციის სპეციფიურ მახასიათებლებთან დაკავშირებით და (II) შეფასებისას ცლილების აღიარებას ექნება გავლენა აქტივებზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში და მოგება-ზარალი, რომელიც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვა დაშვებები საპროცენტო განაკვეთთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო შეფასებასთან და შეფასების კორექტირებასთან დაკავშირებით, ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას, იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები, როგორც დიდ ასევე პატარა ცვილილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ბანკის მიერ წარმოდგენილ წმინდა ზარალზე.

*ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი*
ძირითადი საშუალებები *წარმოდგენილია* თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ცვლილებამ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ პირობათაგანში, ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

*გადასახადები*
ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აუცილებელი არ არის გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასების რეზერვის შექმნა ბალანსის შედგენის თარიღისათვის, ვინაიდან სავარაუდოდ არ მოხდება გადავადებული საგადასახადო აქტივების სრული რეალიზაცია.

გადასახადები განხილულია შენიშვნა 8-სა და 20-ში.

**ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება**

მიმდინარე წელს ბანკმა მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შეესაბამება მის ოპერაციებს და ძალაშია 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ანგარიშგების პერიოდისათვის. ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ცვლილებები ბანკის ბუღალტრულ პოლიტიკაში, რაც გავლენას მოახდენდა მიმდინარე წელს წარმოდგენილ თანხებზე.

ბასს 1 "ფინანსური ანგარიშგების წარდგენი"-ს ცვლილებები - 2007 წლის 6 სექტემბერს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ბასს 1-ის ცვლილებები, რომლებიც მოითხოვს კაპიტალში არასაკუთრებრივი ცვლილებების წარმოდგენას. იგი ასევე ცვლის პირველადი ფინანსური ანგარიშების სახელწოდებებს, როგორც ამას ითვალისწინებს ფასს, მაგრამ არ მოითხოვს, რომ მათი სახელები შესწორდეს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაშიც. ბასს 1-ის ცვლილება ძალაშია 2009 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდიდან.

**გამოცემული და ჯერ არ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები**

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ხელმოწერის დღისათვის, გარდა იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებისა, რომლებიც ბანკმა მიიღო მათ ძალაში შესვლამდე, გამოცემულ იქნა, თუმცა ძალაში არ იყო შესული შემდეგი ინტერპრეტაციები.

ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება (დაქვემდებარების პროექტი) – 2009 წლის ივლისში ბასსს-მ განახორციელა დაქვემდებარების პროექტი (დპ), რომელიც წარმოადგენს ბასსს-ს ბასს 39-ის „აღიარება და შეფასება" ჩანაცვლების პროექტის ნაწილს.
დაქვემდებარების პროექტი მიზნად ისახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალი მოდელის შემოღებას. ყველა ის ფინასური აქტივი და ვალდებულება, რომელთაც მოიცავს ბასს 39 შეფასდება ან თვითღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც უმთავრესი სასესხო მაჩვენებლები გააჩნიათ და იმართებიან კონტრაქტის საფუძველზე, ფასდებიან ამორტიზებული ღირებულებით, თუ მოგებასა და ზარალში არ აისახებიან სამართლიანი ღირებულებით. ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აისახებიან სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებულნი იქნებიან, ან როგორც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული, ან კაპიტალში ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან გამიზნული გასაყიდად, გამოცხადდებიან დაუბრუნებლად და სამართლიანი ღირებულებით აისახებიან სრული მოგება-ზარალის ანგარიშში. ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტში და მათთან დაკავშირებული წარმოებული ინსტრუმენტები, რომელთაც მოიცავს ბასს 39 უნდა აისახოს სამართლიანი ღირებულებით, ანუ არაკოტირებული კაპიტალის ინსტრუმენტები არ შეიძლება აისახოს თვითღირებულებით ცვეთის გამოკლებით, როდესაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების მართებულად დადგენა, როგორც ამას ამჟამად მოითხოვს ბასს 39. დაქვემდებარების პროექტი არ იძლევა ნებას რეკლასიფიკაცია განხორციელდეს ამორტიზებულ ღირებულებაზე, მოგება-ზარალში აღიარებულ სამართლიანი ღირებულებაზე, ან სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახულ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ არის განსაზღვრული, მაგრამ ბასსს-ს კლასიფიკაციისა და ხელმღვანელობის ახალი მოდელის დასრულებას ისე გეგმავს, რომ საშუალება მისცეს საწარმოებს ნებაყოფლობით მიიღონ ახალი მოდელი 2009 წლის დასასრულისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

## 4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:** | | |
| საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებზე | 1,354 | 2,178 |
| საპროცენტო შემოსავალი ბანკების მიმართ მოთხოვნებზე | 75 | - |
| საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე | 36 | - |
| საპროცენტო შემოსავალი გარანტიებზე | 19 | 103 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | 1,484 | 2,281 |
| **საპროცენტო ხარჯი მოიცავს:** | | |
| საპროცენტო ხარჯი კლიენტთა ანგარიშებზე | (83) | (2) |
| საპროცენტო ხარჯი ბანკების მიმართ ვალდებულებებზე | (2) | - |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | (85) | (2) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი პროცენტის მომტან ფინანსურ აქტივებზე** | **1,399** | **2,279** |

## 5. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან შეადგენს:

| | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| სავაჭრო ოპერაციები, წმინდა | 11 | 10 |
| უცხოური ვალუტის გადაფასებისას მიღებული სხვაობა, წმინდა | (6) | 13 |
| **სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან** | **5** | **23** |

## 6. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებს შეადგენს:

| | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **საკომისიო შემოსავალი:** | | |
| ფულადი ოპერაციები | 5 | 1 |
| სადეპოზიტო ოპერაციები | 5 | 1 |
| ანგარიშსწორების საკომისიო შემოსავალი | 4 | - |
| უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები | - | 1 |
| სხვა საკომისიო შემოსავალი | 2 | - |
| **სულ საკომისიო შემოსავალი** | **16** | **3** |
| **საკომისიო ხარჯები:** | | |
| ანგარიშსწორებები | (16) | (2) |
| სადეპოზიტო ოპერაციები | (2) | - |
| ფულადი ოპერაციები | (2) | - |
| უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები | - | (1) |
| სხვა საკომისიო შემოსავალი | (1) | - |
| **სულ საკომისიო ხარჯი** | **(21)** | **(3)** |

## 7. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

| | 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის | 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| ხელფასები და პრემიები | 2,380 | 2,016 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 553 | 105 |
| გადასახადები მოგების გადასახადის გამოკლებით | 261 | 37 |
| საოპერაციო ლიზინგი | 177 | 190 |
| დაცვის ხარჯები | 136 | 84 |
| პროფესიული მომსახურება | 79 | 65 |
| საკომუნიკაციო ხარჯები | 68 | 36 |
